

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ფაკულტეტის საბჭოს 2019 წლის 30 ივლისის სხდომის

#### ოქმი #5

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2019 წლის 30 ივლისს შედგა თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს სხდომა.

სხდომა გახსნა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა რამაზ ხომერიკმა.

ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაშია 39 წევრი, სხდომას ესწრებოდა 21.

კვორუმი შედგა, სხდომა გახსნილად გამოცხადდა.

#### დღის წესრიგი:

1. ცვლილებები საგანმანათლებლო პროგრამებში;
2. ფაკულტეტის სტრუქტურული ერთეულების შესახებ;
3. თსუ მე-2 კორპუსის აუდიტორიებისთვის დვაწლმოსილი ფიზიკოსების სახელის მინიჭების შესახებ;
4. მიმდინარე საკითხები.

1. მოისმინეს: დღის წესრიგის პირველი საკითხი - ცვლილებები საგანმანათლებლო პროგრამებში. საკითხის შესახებ ისაუბრა ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის უფროსმა, ასოცირებულმა პროფესორმა თამარ ჭელიძემ. მან განსახილველად გამოიტანა ცვლილებები ქიმიის, მათემატიკის, ბიოლოგიის, კომპიუტერული მეცნიერების ქართულენოვან და ინგლისურენოვან საბაკალავრო პროგრამებში, ასევე ქიმიისა და გამოყენებითი ფიზიკის სამაგისტრო პროგრამებში (იხ. დანართები 1).

გარდა ამისა, საბჭოს წევრებმა ცნობად მიიღეს ქალბატონ თ.ჭელიძის ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ნორმატიულ დოკუმენტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით საჭიროა ცვლილებების შეტანა ფაკულტეტზე აკრედიტირებულ ყველა სადოქტორო პროგრამაში. კერძოდ, ახალი წესის მიხედვით სადოქტორო პროგრამის სამეცნიერო კომპონენტი შეიძლება შეფასდეს მხოლოდ ერთხელ, დაცვის დროს. ამიტომ არსებულ პროგრამებში შემავალ სავალდებულო კვლევით კომპონენტებს კრედიტი აღარ მიენიჭება და შეფასდება, როგორც „გაიარა“ ან „ვერ გაიარა“. აღნიშნულის შესახებ დაწვრილებითი ინფორმაცია მოგვიანებით დაეგზავნება ყველა დეპარტამენტს.

აზრი გამოთქვა: პროფესორმა ნ.შათაშვილმა. მან მოკლე განმარტება გააკეთა გამოყენებითი ფიზიკის სამაგისტრო პროგრამაში შეტანილი ცვლილებების შესახებ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი ცვლილებები ზოგიერთ საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამაში (იხ. დანართები 1).

კენჭისყრის შედეგები: მომხრე: 21 წინააღმდეგი: 0 თავი შეიკავა: 0.

დაადგინეს: შევიდეს წარმოდგენილი ცვლილებები ქიმიის, მათემატიკის, ბიოლოგიის, კომპიუტერული მეცნიერების ქართულენოვან და ინგლისურენოვან საბაკალავრო პროგრამებში, ასევე ქიმიისა და გამოყენებითი ფიზიკის სამაგისტრო პროგრამებში (იხ. დანართები 1).

2. მოისმინეს: დღის წესრიგის მეორე საკითხი - ფაკულტეტის სტრუქტურული ერთეულების შესახებ. საკითხთან დაკავშირებით ისაუბრა ფაკულტეტის სტრუქტურული ერთეულების კომისიის თავმჯდომარემ, პროფესორმა ა.შენგელაიამ. კომისიის სხდომაზე განხილული იყო რამოდენიმე საკითხი (იხ. დანართი 2.0 - კომისიის სხდომის ოქმი). კერძოდ,

1) კომისიის სხდომაზე განიხილეს ნივთიერებათა კვლევის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომელთა საერთო კრების გადაწყვეტილება. გადაწყვეტილების საფუძველზე კომისიამ ფაკულტეტის საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა შემდეგი წინადადებები: ინსტიტუტის დირექტორად დაინიშნოს ბელა კვიციანი, გიორგი კველიძე მიღებულ იქნას ინსტიტუტის თანამშრომლად და დაინიშნოს დირექტორის მოადგილედ (იხ. დანართი 2.1);

2) კომისიის სხდომაზე ერთხმად დააკმაყოფილეს ფაკულტეტის დეკანის, ასოცირებული პროფესორის რამაზ ხომერიკის თხოვნა ფაკულტეტზე ფიზიკის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის შექმნის შესახებ. ცენტრის მიზანია უნივერსიტეტში საშუალო სკოლის ნიჭიერი მოსწავლეების მოზიდვა, საოლიმპიადო ნაკრების მომზადება და ნიჭიერ მოსწავლეთა ჩართვა კვლევით პროექტებში. ცენტრი განთავსებული იქნება თსუ მეორე კორპუსის 109 აუდიტორიაში ზოგადი ფიზიკის ოპტიკის ლაბორატორიასთან ერთად. კომისიამ ასევე მხარი დაუჭირა ბატონი რამაზის ინიციატივას ცენტრისათვის პროფესორ შოთა ვაშაკიძის სახელის მინიჭების შესახებ. აღნიშნული გადაწყვეტილებები წარედგინა ფაკულტეტის საბჭოს დასამტკიცებლად (იხ. დანართები 2.2);

აზრი გამოთქვეს: ასოცირებულმა პროფესორმა რ.ხომერიკმა. მან მოკლედ ისაუბრა ცენტრის მიზნების შესახებ. პროფესორებმა უ.გოგინავამ, დ.ძიძიგურმა სურვილი გამოთქვეს სამომავლოდ ანალოგიური ცენტრების შექმნის შესახებ მათემატიკასა და ბიოლოგიაში.

3) კომისიამ ფაკულტეტის საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა საკითხი თბილისისა და აიდაპოს (აშშ) სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთობლივი მულტიდისციპლინური ს/კ ინსტიტუტის თსუ დაქვემდებარებიდან ფაკულტეტის დაქვემდებარებაში გადასვლის და ახალი სტრუქტურის დამტკიცების შესახებ (იხ. დანართები 2.3);

4) ფაკულტეტის საბჭოს დასამტკიცებლად წარედგინა სამედიცინო და გამოყენებითი ბიოფიზიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტში უფროსი მეცნიერ მკვლევარის პოზიციაზე ლევან კუკუტარიას დამტკიცების საკითხი ინსტიტუტის დირექტორის, პროფესორ თამაზ მძინარაშვილის განცხადების საფუძველზე (იხ. დანართი 2.4).

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი ფაკულტეტის სტრუქტურული ერთეულების კომისიის თავმჯდომარის მიერ შემოთავაზებული საკითხები.

კენჭისყრის შედეგები: 1) მომხრე - 21, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0;

2) მომხრე - 21, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0;

3) მომხრე - 21, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0;

4) მომხრე - 21, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

დაადგინეს:

- 1) ნივთიერებათა კვლევის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის დირექტორად დამტკიცდეს ბელა კვიციანი, გიორგი კვეციანი მიღებულ იქნას ინსტიტუტის თანამშრომლად და დაინიშნოს დირექტორის მოადგილედ;
- 2) შეიქმნას შოთა ვაშაკიძის სახელობის ფიზიკის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრი;
- 3) შეიქმნას ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და აიდაძოს (აშშ) სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთობლივი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი;
- 4) სამედიცინო და გამოყენებითი ბიოფიზიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტში უფროსი მეცნიერ მკვლევარის პოზიციაზე დამტკიცდეს ლევან კუკუტარია;

ამასთან შევიდეს შესაბამისი ცვლილებები ფაკულტეტის დებულებაში. კერძოდ,

- 33-ე მუხლს დაემატოს:  
დ) შოთა ვაშაკიძის სახელობის ფიზიკის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრი;
- 35-ე მუხლს დაემატოს:  
ბ) ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და აიდაძოს (აშშ) სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთობლივი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი.

3. მოისმინეს: დღის წესრიგის მესამე საკითხი - თსუ მე-2 კორპუსის აუდიტორიებისთვის ღვაწლმოსილი ფიზიკოსების სახელის მინიჭების შესახებ. საკითხთან დაკავშირებით ისაუბრა ფაკულტეტის დეკანმა, ასოცირებულმა პროფესორმა რ.ხომერიკმა. მან ფაკულტეტის საბჭოს წევრებს გააცნო ფიზიკის დეპარტამენტის პროფესორების ა.უგულავას, ნ.შათაშვილის და ა.შენგელაიას განცხადება თსუ მეორე კორპუსში ფიზიკის დეპარტამენტის სასწავლო აუდიტორიებისათვის ღვაწლმოსილი ფიზიკოსების სახელების მინიჭების შესახებ (იხ. დანართი 3).

აზრი გამოთქვეს: პროფესორებმა ნ.კოშორიძემ, დ.კერესელიძემ, ლ.მაჭავარიანმა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი თსუ მეორე კორპუსში ფიზიკის დეპარტამენტის სასწავლო აუდიტორიებისათვის ღვაწლმოსილი ფიზიკოსების სახელების მინიჭების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 21, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

დაადგინეს: მიენიჭოს ღვაწლმოსილი ფიზიკოსების სახელები თსუ მეორე კორპუსის ფიზიკის დეპარტამენტის შემდეგ სასწავლო აუდიტორიებს:

- ელექტრომაგნეტიზმისა და მოლეკულური ფიზიკის ლაბორატორიას მიენიჭოს ელფთერ ანდრონიკაშვილის სახელი;
- მექანიკის ლაბორატორიას (321 ოთახი) მიენიჭოს გიორგი გამცემლიძის სახელი;
- 220 აუდიტორიას მიენიჭოს ვაგან მამასახლისოვის სახელი;
- 221 აუდიტორიას მიენიჭოს გივი ხუციშვილის სახელი;
- 136 აუდიტორიას მიენიჭოს გურამ ჭილაშვილის სახელი;
- 144 აუდიტორიას მიენიჭოს ზაურ ქაჩლიშვილის სახელი;
- 322 აუდიტორიას მიენიჭოს შოთა ბებიაშვილის სახელი;
- 208-209 აუდიტორიებს მიენიჭოს მათე მირიანაშვილის სახელი;

- 323 აუდიტორიას გაუკეთდეს აბრა წარწერით: ფიზიკის დეპარტამენტის კომპიუტერული მოდელირების ოთახი;
- 223 აუდიტორიას გაუკეთდეს აბრა წარწერით: ფიზიკის დეპარტამენტის პროფესორთა საბჭო, ფიზიკის სადისერტაციო მუდმივმოქმედი დარგობრივი კომისია.

4. დღის წესრიგის მეოთხე - მიმდინარე საკითხები.

4.1. მოისმინეს: ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო ნაშრომის ტექნიკური მონაცემების ინსტრუქციაში სადისერტაციო საბჭოს რეკომენდაციის გათვალისწინების შესახებ. რეკომენდაცია საბჭოს წევრებს გააცნო დეკანის მოადგილემ, ასოცირებულმა პროფესორმა ვაჟა ტრაპაიძემ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 21, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

დაადგინეს: ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო ნაშრომის ტექნიკური მონაცემების ინსტრუქციაში გათვალისწინებულ იქნას სადისერტაციო საბჭოს რეკომენდაცია. კერძოდ დაემატოს შემდეგი პუნქტი:  
„17. დისერტაციის ბოლოს დოქტორანტს მითითებული უნდა ჰქონდეს მის მიერ სადისერტაციო ნაშრომის ფარგლებში გამოქვეყნებული ნაშრომების სია. მათგან Clarivate Analytics Web of Science კლასიფიკატორის მიხედვით დადებით იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალში გამოქვეყნებული სტატიების მითითებისას გამოყენებული იყოს მუქი შრიფტი (Bold)“.

4.2. მოისმინეს: პროფესორმა დიანა ძიძიგური დიანა ძიძიგურმა უკმაყოფილოება გამოთქვა იმის გამო, რომ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებაში, კერძოდ, სწავლის სფეროების ახალ კლასიფიკატორში, არ აისახა კლასიფიკატორის განხილვის პერიოდში ბიოლოგიის კუთხით ფაკულტეტიდან მიწოდებული შენიშვნები.

აზრი გამოთქვეს: პროფესორმა ო.მუკბანიანმა. მან აღნიშნა, რომ მსგავს მდგომარეობაშია ქიმიის კლასიფიკატორიც. ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს შესთავაზა შეიქმნას სამუშაო ჯგუფი, რომელიც მოამზადებს წინადადებებს აღნიშნული საკითხის მოგვარების მიზნით.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული კომისიის შექმნის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 21, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

დაადგინეს: შეიქმნას კომისია პროფესორების ნ.შათაშვილის, დ.ძიძიგურის, ო.მუკბანიანის და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის, ასოცირებული პროფესორის თ.ჭელიძის შემადგენლობით, რომელიც მოამზადებს წინადადებებს და მიმართვის ტექსტს სწავლის სფეროების ახალ კლასიფიკატორში შესწორებების შესატანად.

4.3. მოისმინეს: ფაკულტეტის დეკანმა, ასოცირებულმა პროფესორმა რ.ხომერიკმა საბჭოს წევრებს გააცნო ინფორმაცია თსუ უფასო მისაღები ადგილების რაოდენობის კორექციის შესახებ. კერძოდ, ცვლილების შემდეგ თსუ-ს 1275 ადგილის ნაცვლად აქვს 1225

ადგილი. შესაბამისად, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტს დააკლდა 17 ადგილი. ბატონმა რამაზმა საბჭოს წევრებს შესთავაზა გადაენაწილებინათ ეს რაოდენობა არსებულ უფასო პროგრამებზე.

აზრი გამოთქვს: პროფესორებმა ნ.შათაშვილმა, ო.ფურთუხიამ. ქ-მა ნანამ აღნიშნა, რომ დაუშვებელია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი ამ საკითხში გაუთანაბრდეს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტს და დააკლდეს უფასო ადგილები. იგი მიზანშეწონილად მიიჩნევს, რომ ფაკულტეტის საბჭომ ამის შესახებ ახსნა-განმარტებითი წერილით მიმართოს უნივერსიტეტის ადმინისტრაციას. ფაკულტეტის საბჭოს წევრები მსჯელობის შედეგად შეთანხმდნენ, რომ ეთხოვოს პროფესორ ნ.შათაშვილს შესაბამისი წერილის მომზადება.

დაადგინეს: მიღებულ იქნეს ცნობად ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარის ინფორმაცია თსუ უფასო მისაღები ადგილების რაოდენობის შემცირების შესახებ და ეთხოვოს პროფესორ ნ.შათაშვილს მიმართვის წერილის მომზადება საბჭოს შემდეგ სხდომაზე განსახილველად.

4.4. მოისმინეს: კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტის თავმჯდომარე, პროფესორმა მ.ხაჩიძემ საბჭოს წევრებს გააცნო ინფორმაცია დეპარტამენტის სტუდენტების სასიამოვნო ინიციატივის შესახებ. კერძოდ, გაფორმდა ხელშეკრულება „ბიბლუსთან“ მაკულატურის ჩაბარების თაობაზე. თსუ XI კორპუსში და საგამოცდო ცენტრში რამოდენიმე ადგილას დაიდგა ყუთები მაკულატურის შესაგროვებლად. უკვე შეგროვდა 1.5 ტონა მაკულატურა. სანაცვლოდ მიღებული წიგნები ფაკულტეტის სახელით საჩუქრად გადაეცემა საშუალო სკოლებს.

დაადგინეს: მიღებულ იქნეს ცნობად.

4.5. მოისმინეს: პროფესორ ო.მუკბანიანის ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ლაბორატორიების პერსონალს კონკურსის დროს შეუფერებლად მაღალი მოთხოვნები ჰქონდათ წაყენებული. რეალურად მათ დამხმარე პერსონალის ფუნქციები აქვთ და მიზანშეწონილია, რომ მათთვის შესაძლებელი იყოს სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოს წარმოება. ვინც კვლევებში იქნება ჩართული, მათთვის ეს უპირატესობა იქნება მომდევნო კონკურსების დროს.

აზრი გამოთქვა: პროფესორმა ლ.მაჭავარიანმა აღნიშნა, რომ გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ზოგიერთ სამეცნიერო-სასწავლო ლაბორატორიას შეეცვალა სტატუსი და გახდა მხოლოდ სასწავლო.

დაადგინეს: მიღებულ იქნეს ცნობად.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე,  
ასოცირებული პროფესორი რამაზ ხომერიკი



ფაკულტეტის საბჭოს მდივანი,  
ასისტენტ პროფესორი  
თინათინ დავითაშვილი

